ანტიევროპული პროპაგანდის გაძლიერება ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყანაში: საქართველოს შემთხვევის ანალიზი

ნათია ცქიფურიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ევროპისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)

მიმართულება: ევროპისმცოდნეობა

ხელმძღვანელი: სერგი კაპანაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2026

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნათია ცქიფურიშვილი

18.01.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს საქართველოში ანტიევროპული პროპაგანდის გაძლიერების დინამიკასა და მექანიზმებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდგომ პერიოდში. კვლევის აქტუალობას განაპირობებს ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილება და მმართველი ელიტის რიტორიკის ტრანსფორმაცია ევროკავშირის მიმართ.

ნაშრომის მიზანია იმის დადგენა, თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება პროპაგანდისტული ნარატივები ევროპული ინტეგრაციის პროცესის დელეგიტიმაციისთვის. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისობრივი მეთოდოლოგია, კერძოდ, ტელეკომპანია „იმედის“ მედიაკონტენტის დისკურს-ანალიზი და ექსპერტული ინტერვიუები. თეორიულ ჩარჩოდ აღებულია სოციალური კონსტრუქტივიზმი, ფრეიმინგის თეორია და პროპაგანდის მექანიზმები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანტიევროპული პროპაგანდა საქართველოში ატარებს სისტემურ ხასიათს და წარმოადგენს მმართველი ელიტის სტრატეგიულ არჩევანს ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ნაშრომმა აჩვენა, რომ ხელისუფლებამ მოახდინა ევროკავშირის, როგორც „პარტნიორის“ „მტრულ ძალად“ რეპრეზენტაცია, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს.

დასკვნის სახით ნაშრომი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო პროპაგანდა მიზანმიმართულად ახდენს პასუხისმგებლობის დელეგირებას დასავლელ პარტნიორებზე, რათა შიდა დემოკრატიული უკუსვლა და ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხება ამომრჩევლის თვალში გამართლდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვის მოტივით.

საკვანძო სიტყვები: ანტიევროპული პროპაგანდა, ევროკავშირი, ტელეკომპანია „იმედი“, საქართველო

Abstract

This master's thesis explores the dynamics and mechanisms of anti-European propaganda in Georgia following the granting of EU candidate status. The relevance of the research is underscored by the abrupt shift in the country's foreign policy trajectory and the radical transformation of the ruling elite's rhetoric toward the European Union.

The aim of the study is to determine how and for what purpose propagandistic narratives are employed to delegitimize the European integration process. The research utilizes a qualitative methodology, specifically discourse analysis of media content from the TV channel "Imedi" and expert interviews. The theoretical framework is built upon social constructivism, framing theory, and the mechanisms of propaganda.

The research findings reveal that anti-European propaganda in Georgia is systemic and represents a strategic choice by the ruling elite to consolidate power. The study demonstrates that the government has re-represented the European Union from a "partner" into a "hostile force" that allegedly threatens national sovereignty.

In conclusion, the thesis argues that state propaganda deliberately delegates responsibility to Western partners (scapegoating), framing the domestic democratic backsliding and the obstruction of the European integration process as a necessary defense of national interests in the eyes of the electorate.

Keywords: Anti-European propaganda, European Union, TV Imedi, Georgia.